ოქმი №6

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 28 მაისს.

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დამთავრდა11:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ი. კალანდარიშვილი, შ. კოკაია, ი. ცხვიტავა, გ. წურწუმია, კ. ტორჩინავა, ნ. შამათავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: მ. გვასალია; გ. რობაქიძე, მ. კანკავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი - მ. ფირცხალავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სპეციალისტი - ზ. აფაქიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს სასაფლაოების განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: მ. გვასალია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0). სენაკი სმუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღისწესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს სასაფლაოების განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს სასაფლაოების განყოფილების უფროსი: გ. რობაქიძე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს სასაფლაოების განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ი. კალანდარიშვილმა, მ. ფირცხალავამ, გ. რობაქიძემ, ი. ქარდავამ.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს სასაფლაოების განყოფილების ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: მ. გვასალია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული ანგარიში.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა (ფაროსანას) და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული მუშაობა, შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი ხურცია